საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 318 2025 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/02/2011, 040030000.10.003.016219) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის“ მე-2 მუხლის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტის ნებართვის გაცემა	20 სამუშაო დღე	100 ლარი
		5 სამუშაო დღე	200 ლარი
		1 სამუშაო დღე	300 ლარი“.

2. მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა, გარდა ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა	20 სამუშაო დღე	100 ლარი
	5 სამუშაო დღე	200 ლარი
	1 სამუშაო დღე	300 ლარი“.

3. მე-3 – 5[1] პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.	ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება:		
	ა) ექსპორტის/რეექსპორტის დროს ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ტვირთის ფიზიკური შემოწმების გარეშე	5 სამუშაო დღე	100 ლარი
		არასამუშაო საათები, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	300 ლარი
	ბ) ექსპორტის/რეექსპორტის დროს ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ტვირთის ინსპექტირებით	5 სამუშაო დღე	250 ლარი
		არასამუშაო საათები,	300 ლარი

		შაბათ-კვირა ან უქმე დღე	
	გ) საფოსტო გზავნილის, მგზავრის ბარგის, ხელბარგის ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება	5 სამუშაო დღე	50 ლარი
		არასამუშაო საათები, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	200 ლარი
4.	ვეტერინარული სერტიფიცირება:		
	ა) ექსპორტის დროს ვეტერინარული სერტიფიცირება, გარდა ცოცხალი ცხოველების ექსპორტისა	5 სამუშაო დღე	200 ლარი
		1 სამუშაო დღე, არასამუშაო საათები, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	300 ლარი
	ბ) ცოცხალი ცხოველების ექსპორტის დროს ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემა	1 სამუშაო დღე, არასამუშაო საათები, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	300 ლარი
5.	სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიცირება (გარდა გამოფენაზე	5 სამუშაო დღე	100 ლარი
		3 სამუშაო დღე	150 ლარი

	გასატანი ან/და ნიმუშად წარსადგენი სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარისა)		
		1 სამუშაო დღე	300 ლარი
5[1].	სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემა	5 სამუშაო დღე	100 ლარი
		3 სამუშაო დღე	150 ლარი
		1 სამუშაო დღე	300 ლარი“.

4. მე-7 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ეროვნული რეჟიმით პირველადი რეგისტრაცია	115 სამუშაო დღე	1500 ლარი
	60 სამუშაო დღე	2000 ლარი“;

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ეროვნული რეჟიმით რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატის სარეგისტრაციო	35 სამუშაო დღე	100 ლარი
	20 სამუშაო დღე	150 ლარი“.

დოკუმენტაციაში პირველი რიგის ცვლილების რეგისტრაცია		

5. მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.	პესტიციდის ან აგროქიმიკატის ხარჯვის ნორმის	20 სამუშაო დღე	400 ლარი
	დაანგარიშება/კორექტირება	10 სამუშაო დღე	600 ლარი“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 15 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე